საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №12

ჩაქვი 09 მარტი 2017წ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის მე-2 პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „ზ[4]“ და „ო“ ქვეპუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 16 მაისის #106 დადგენილებით დამტკიცებული გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-5 მუხლის შესაბამისად, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას 2017 წლის 09 მარტის №733 წარდგინების საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. დამტკიცდეს გენდერული თანასწორობის საბჭოს შემდეგი პესონალური შემადგენლობა:

ნინო ჩხეტია	_ უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (გენდერული თანასწორობის საჭოს თავმჯდომარე);
მერაბ კარანაძე	_ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი ჭეიშვილი	_ უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების“ თავმჯდომარე;
დავით ბაციკაძე	_ უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-აჭარა“-ს თავმჯდომარე;
ცოტნე ანანიძე	_ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ილია ვერძაძე	_ უმაღლესი საბჭოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე;
ასმათ დიასამიძე	_ უმაღლესი საბჭოს წევრი;
გია აბულაძე	_ უმაღლესი საბჭოს წევრი;

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა განახორციელოს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის აპარატმა.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,გენდერული თანასწორობის საბჭოს პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2014 წლის12 ივნისის N29 ბრძანება.

4. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის აპარატს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე